# საჩემპიონო

სპორტული გაზეთი შაბათი 8 აპრილი 2006 №78 (2700) ფასი 50 თეთრი


# ქუდბედიანმა ლაბაძემ მერვე გააქისქნა

DAVIS CUP by BNP PARIBAS

## საქართველო 1
## სამხრეთ აფრიკა 1





# სადაც გული გაგიწევთ...



დღეს სათასო ნახევარფინალების პირველი ნახევარია.

ასარჩევად ძნელი მატჩებია: აბა, „ვიტ ჯორჯია“ — „ზესტაფონზე“ ნახვალთ თუ „სიონ“ — „ამერზე“? ვისაც ქართული კლუბების ბედი არ ადარდებს, ის მშვენივრადაც გამოიშაბათებს, არადა, ძალიან საინტერესო თამაშებს კი გვპირდებიან მცხეთა და ბოლნისი.

კობა ჟორჟიკაშვილის „ზესტაფონს“ ორი წამყვანი ფეხბურთელი, ზურაბ იონანიძე და გიორგი განუგრავა დააკლდება, რაც, ალბათ, საკმაო დაღს დაასვამს ფეროელთა შანსებს. თუმც ნურც ის დაგვავიწყდება, რომ ზესტაფონელებმა არცთუ დიდი ხნის წინ მცხეთაში უკვე მოუგეს ვიტელებს საჩემპიონატო თამაში.

ქვემო ქართლში კი ჩემპიონატის ლიდერი „სიონი“ ბოლო ხანს დამუხრუჭებულ „ამერთან“ შეეცდება, საპასუხო მატჩისთვის ჰანდიკაპი შეიქმნას. გიორგი ჩიხრაძის „ამერი“ თუ ჯერაც გრიპს ებრძვის, ბოლნისელებს ორი წამყვანი მცველი, დავით სვანიძე და მიხეილ კობაური დააკლდებათ.

მოკლედ, კაი დაძაბული თამაშები გველის...

# ყრილობა, ზეიმის ხანა და ზარაფხანა

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მორიგი, მეთერთმეტე ყრილობა შარშანდელი რიგგარეშედან თერთმეტი თვის თავზე გაიმართება და ნოდარ ახალკაცის გუნდის ერთწლიან მუშაობას შეაფასებს. დღის წესრიგი ტევადი კია, თუმცა ინტრიგის მოყვარულთა იმედს ნაკლებად გაამართლებს. სამაგიეროდ, ყრილობის გამართვის თარიღია ნიშანდობლივი — 13 მაისს ხომ ქართული ფეხბურთის უდიდესი გამარჯვებიდან 25 წელი სრულდება და ფეხბურთის ფედერაციამ დავით ყიფიანის სახელობის თასის ფინალის გარდა, მორიგი ყრილობაც დაუდო ფონად ისტორიულ თარიღს, რომელსაც ეროვნული ზარაფხანა საგანგებო საიუბილეო მონეტების მოჭრით გამოეხმაურება.



### ინგლისი
ჩემპიონატი. XLII ტური
ლესტერი 2:0 კრ. პალასი
კონფერენსლიგა. XXXVIII ტური
ფორესტ გრინი 1:1 აკრინგტონი

### იტალია
სერია B. XXXVI ტური
კროტონე 1:1 ტერნანა.

### გერმანია
II ბუნდესლიგა. XXIX ტური
ბოხუმი 3:1 ზიგენი
ბრაუნშვაიგი 0:1 ალემანია
ოფენბახი 2:1 აუე
ჩრდილოეთ რეგიონალლიგა XXX ტური
მიუნსტერი — ვერდერი (მ) დღეს
სამხრეთ რეგიონალლიგა XXV ტური
მიუნხენი (მ) 0:0 ვეჰენი

### საფრანგეთი
II დივიზიონი. XXXIII ტური
ამიენი 1:0 სეტე
ბასტია 0:2 დიჟონი
ბრესტი 0:0 ისტრი
შატორუ 0:1 სედანი
კრეტეი 3:1 კლერმონი
ლე ავრი 4:1 გრენობლი
მონპელიე 1:3 კაენი
რეიმსი 3:1 ლავალი
გენიონი 0:1 ლორიანი

### ჰოლანდია
ერედივიზიონი. XXXII ტური
ჰერენვენი 1:1 ფეიენოორდი
II დივიზიონი. XXXVIII ტური
კამბური 1:0 დენ ბოსხი
ემენი 3:1 ეინდჰოვენი
ალმერე 2:4 დორდრეხტი
ზვოლე 2:3 გრააფსხაპი
სიტარდი 1:1 ექსელსიორი
ჰაარლემი 0:0 მაასტრიხტი
ჰელმონდი 0:2 ვეენდამი
ტელსტარი 3:1 აპელდორნი
ოსი 1:2 ვოლენდამი
ვენლო 3:0 იგლსი

### ბელგია
იუპილერლიგა. XXX ტური
შარლერუა 1:1 ანდერლეხტი
ბრიუგე 2:1 ვარეგემი

### პორტუგალია
სუპერლიგა. XXX ტური
ნასიონალი 4:0 ბელენენსეში

### დანია
I დივიზიონი. XVIII ტური
ფრედერისია 0:1 კოლდინგი

### ავსტრია
I დივიზიონი. XXVII ტური
ავსტრია (ლ) 3:2 ავსტრია (მ)
გრატკორნი 3:0 შვანენშტადტი
კერნტენი 0:1 ალტახი
კუფშტაინი 1:1 კაპფენბერგი
ლეობენი 1:1 ლინცერი

### თურქეთი
სუპერლიგა. XXIX ტური
დიარბაქირი 1:3 გალათასარაი

### ირლანდია
პრემიერდივიზიონი. V ტური
კორკი 2:1 ლონგფორდი
დერი 1:0 ბოჰემიანსი
დუბლინ სიტი 0:0 სლიგო
სენტ პატრიკსი 0:1 დროჰედა
უოტერფორდი 0:1 შელბურნი

### პოლონეთი
I ლიგა. XXIII ტური
კორონა 1:0 არკა
ზაგლებე 2:0 ამიკა

### უნგრეთი
ბორსოდი ლიგა. XXII ტური
მტკ 0:0 ჰონვედი

# ექვსიანმა ალმასკომმა თორმეტიანი ყრილობა დაგეგმა

## 2004 წლის ჩემპიონის ფორმაცია: ფარმაცია

*საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აღმასრულებელმა კომიტეტმა გუშინდელ სხდომაზე ექვსპუნქტიანი დღის წესრიგით იმუშავა, დღის ბოლოს კი ფედერაციის პრეზიდენტმა ნოდარ ახალკაცმა და ვიცე-პრეზიდენტებმა, გოგი ქავთარაძემ და დიმიტრი რამიშვილმა მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ პრესკონფერენციაზე ისაუბრეს. ჩვენც დღის წესრიგის მიხედვით მივყვეთ...*



გოგი ქავთარაძე, დიმიტრი რამიშვილი და ნოდარ ახალკაცი

*1. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მე-11 ყრილობის მოწვევის შესახებ.*

გადაწყდა, რომ მორიგი ყრილობა 13 მაისს გაიმართება და მისი დღის წესრიგი 12-პუნქტიანი იქნება.

*2. საქართველოს ახალგაზრდული და 19-წლამდელთა ნაკრებების მთავარი მწვრთნელების დამტკიცების შესახებ.*

ალმასკომმა დააკმაყოფილა ფედერაციის ხელმძღვანელობის შუამდგომლობა და ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელად რალფ მინგე, 19-წლამდელთა ნაკრების მთავარ მწვრთნელად კი ჰაინც ტოპმიოლერი დაამტკიცა. ამას გარდა, კობა ჟორჟიკაშვილი და მამუკა აბუსერიძე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მწვრთნელებად დაინიშნენ — ისინი ერთ კონკრეტულ ასაკობრივ გუნდში მუშაობით არ შემოიფარგლებიან, გაერთიანებული სამწვრთნელო შტაბის სრულუფლებიანი წევრები იქნებიან და საჭიროების მიხედვით, ყველა ნაკრებში დასაქმდებიან.

აქვე ერთი შეზღუდვაც: ფედერაციის ხელმძღვანელობამ მიზანშეუწონლად მიიჩნია ნაკრების მწვრთნელის მუშაობა რომელიმე კლუბში. გერმანელ მწვრთნელებს, ისევე როგორც ჟორჟიკაშვილსა და აბუსერიძეს, ფედერაციასთან კოტრაქტის დასრულებამდე საკლუბო კარიერაზე უარის თქმა მოუწევთ. ტოპმიოლერები, მინგე და ცანკერი ამჟამად არც არიან კლუბში დაკავებულნი, ჟორჟიკაშვილს და აბუსერიძეს კი მიმდინარე ჩემპიონატის დასრულების შემდეგ მოუწევთ, შესაბამისად, „ზესტაფონის“ და „ლოკომოტივის“ დატოვება.

*3. საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის კალენდრის შესახებ.*

ალმასკომმა გაითვალისწინა მიმდინარე ჩემპიონატის გამოცდილება და გადაწყვიტა შექმნილიყო მუშა ჯგუფი, რომელიც მომავალი ჩემპიონატების დაგეგმვის სტრატეგიას განსაზღვრავს. მოკლედ რომ ვთქვათ, კლუბებმა მაქსიმალურად ადრე უნდა შეიტყონ მომავალი ჩემპიონატის დაწყებისა და დასრულების თარიღები. ამას გარდა, გამოითქვა სურვილი, რომ მომდევნო ჩემპიონატებში კალენდარი აღარ იყოს ისეთი შემჭიდროებული, როგორც წლეულსაა. მუშა ჯგუფში, რომელიც არამხოლოდ უმაღლესი ლიგის კალენდართან დაკავშირებით, არამედ ყველა ეროვნული შეჯიბრების ვადებზე იმსჯელებს, ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი, პროფლიგის პრეზიდენტი დიმიტრი რამიშვილი, „ვიტ ჯორჯიას“ პრეზიდენტი გურამ რუხაძე, „დინამოს“ პრეზიდენტი ბუბა ტყავაძე და „ამერის“ პრეზიდენტი ზურაბ ფოცხვერია შევიდნენ.

*4. ფეხბურთის ფედერაციის ახალი წევრების მიღების შესახებ.*

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის წესდების 7.2 მუხლის შესაბამისად, ფედერაციის ახალი წევრების მიღება ალმასკომის პრეროგატივაა. გუშინდელ სხდომაზე ფედერაციის წევრის სტატუსი სამმა ახალმა სუბიექტმა მიიღო — რაჭა-ლეჩხუმისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონულმა ფედერაციებმა, აგრეთვე ეზოს ფეხბურთის ასოციაციამ. ფორმალობის სრულად დასაცავად, მათ სტატუსს 13 მაისის ყრილობა დაადასტურებს.

*5. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საკლუბო ლიცენზირების სისტემის შესახებ.*

ალმასკომზე დამტკიცდა ლიცენზირების დებულებები მიმდინარე და 2007-2008 წლების სეზონებისთვის. მომავალი წლის სალიცენზიო დებულებაში ხუთის ნაცვლად ოთხი კრიტერიუმია შეტანილი. მეხუთე — ფინანსური მას შემდეგ დაემატება, რაც 12-16 აპრილს მოსკოვში გასამართ უეფას სემინარზე შესაბამის გადაწყვეტილებას მიიღებენ.

ლიცენზირების კომიტეტის დებულების მიხედვით, მისი წევრი არ შეიძლება იმავდროულად რომელიმე კლუბში საქმიანობდეს. აქედან გამომდინარე, კომისიის წევრობიდან გამოიყვანეს ანატოლი მილჩენკო, რომელიც ამჟამად „ვიტ ჯორჯიაში“ მუშაობს. ლიცენზირების კომიტეტში მილჩენკოს დიმიტრი ბოკერია ჩაენაცვლა.

კიდევ ერთი საინტერესო დეტალი: როგორც აღმოჩნდა, საქართველოს მიმდინარე ჩემპიონატი 15-მა საფეხბურთო კლუბმა და ერთმა ფარმაცევტულმა კომპანიამ დაიწყო. „ვიტ ჯორჯია“ აქამდე არ ყოფილა დარეგისტრირებული როგორც საფეხბურთო კლუბი, ახლა კი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებად გადაკეთდა. ფედერაციის პრეზიდენტმა ნოდარ ახალკაცმა განაცხადა, რომ შპს „საფეხბურთო კლუბი ვიტ-ჯორჯია“ ამ ფარმაცევტული კომპანიის სამართალმემკვიდრეა და ევროსაგზურის მოპოვების შემთხვევაში, უეფაში არანაირი პრობლემა არ შეექმნებაო.

*6. სხვადასხვა.*

ალმასკომი რამდენიმე საინტერესო საკითხს შეეხო. 13 მაისს 25 წელი სრულდება თბილისის „დინამოს“ ისტორიული წარმატებიდან. ამ თარიღს ფედერაციამ შეგნებულად დაამთხვია საქართველოს თასის ფინალი და მორიგი ყრილობა. ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით, ზარაფხანაში მოიჭრება საიუბილეო მონეტა, ქარვასლაში მოეწყობა ფოტოგამოფენა და სხვა... საიუბილეო ღონისძიებებს ფეხბურთის ფედერაცია და „დინამო“ კოორდინირებულად დაგეგმავენ და გამართავენ.

...გუშინ ერთი წელი გავიდა ცნობილი ქართველი ფეხბურთელის, გივი ნოდიას გარდაცვალებიდან. აღმოჩნდა, რომ მისი საფლავი დღემდე არ არის მოყვანილი სათანადო მდგომარეობაში. ფეხბურთის ფედერაციამ ეს პრობლემა საკუთარ თავზე აიღო და ოჯახთან შეთანხმებით დააფინანსებს ყველა საჭირო სამუშაოს.

პრესკონფერენციის ბოლოს ტრადიციული კითხვა-პასუხიც იყო. ნოდარ ახალკაცმა, გოგი ქავთარაძემ და დიმიტრი რამიშვილმა მიმდინარე პრობლემებზე ისაუბრეს. გოგი ქავთარაძის თქმით, არ არსებობს გარანტია, რომ ეროვნულ სტადიონზე ყველა საჭირო სამუშაოს დასრულება 2 სექტემბრამდე მოესწრება. თუმცა მთავარია, რომ ამ საქმეზე დიდი თანხა, პირობითად 10 მილიონი დოლარი დაიხარჯება. ამ ეტაპზე განსასაზღვრია პრიორიტეტები, რა უნდა გავაკეთოთ, რომ საფრანგეთის ნაკრებთან ეროვნულ სტადიონზე მასპინძლობის უფლება მოგვცენ. მინდვრის საფარი და ინდივიდუალური სკამები შედარებით ადვილად და მოკლე დროში მოსაგვარებელი პრობლემაა, განსხვავებით უსაფრთხოების საკითხებიდან. სწორედ ამიტომ გახდა საჭირო გერმანელ სპეციალისტთა ამასწინანდელი ვიზიტი — მათ „ეროვნულზე“ მიმდინარე პროცესებს სწორი მიმართულება უნდა მისცენ.

**გიორგი ნოზაძე**

საქართველოს პროფესიული
ფეხბურთის ლიგა
დაბადების დღეს ულოცავს
დიდ ქართველ ფეხბურთელს
ალექსანდრე ჩივაძეს

აფხაზეთის ფეხბურთის
ფედერაცია უსამძიმრებს
ფედერაციის პრეზიდენტს
მურად ანჯაფარიძეს
სიმამრის
გარდაცვალების გამო



# ზურაბ ხიზანიშვილის თანხა გადახდილია

## ბლექბერნმა რეინჯერსს ჭკუაში აჯობა

ზურაბ ხიზანიშვილსა და „ბლექბერნს" შორის კონტრაქტის გაფორმება კი გაიწელა, მაგრამ უკვე ასი პროცენტითაა გადაწყვეტილი, რომ ხიზანიშვილი „ბლექბერნთან" ხელშეკრულებას მოაწერს ხელს — ბლექბერნელებმა უკვე გადაუხადეს ზურას გამოსასყიდი თანხა „გლაზგო რეინჯერსს".

ხიზანიშვილი „რეინჯერსმა" მიმდინარე სეზონის დასაწყისში გაანათხოვრა „ბლექბერნში" და საიჯარო ხელშეკრულებაში ისიც ჩაიწერა, რამდენი უნდა გადაეხადა „ბლექბერნს" ქართველის გამოსყიდვაში გლაზგოელებისთვის.

შევიტყვეთ, რომ „ბლექბერნმაც" იმაზე გაცილებით ნაკლები გადაიხადა ხიზანიშვილში, ვიდრე ამ ფეხბურთელის საბაზრო ღირებულებაა ამ დროისთვის. მოკლედ, „ბლექბერნმა" „რეინჯერსს" ფაქტობრივად ჩალის ფასად დაათმობინა 24 წლის ხიზანიშვილი.

**დავით თავართქილაძე**

საქართველოს ტელეკომი
TELECOM GEORGIA

დაბალი ტარიფები საქალაქთაშორისო
და მობილურ საუბრებზე

დარეკეთ ქალაქის ტელეფონიდან
მაგთიზე და ჯეოსელზე 25 თეთრად
(ტარიფი ვრცელდება თბილისის მასშტაბით)

საქართველოს რეგიონებში 12 თეთრად
(ტარიფი ვრცელდება საქართველოს მასშტაბით)

დროის წამობრივი აღრიცხვა

აკრეფვის წესი:
მობილურ ტელეფონზე დასარეკად
8-100+ მობილური ოპერატორის კოდი (99,98,95;77,93,55)
+ აბონენტის ნომერი
საქართველოს რეგიონებში
8-100+ ქალაქის კოდი+ აბონენტის ნომერი

8-100

ისაუბრეთ მეტი, გადაიხადეთ ნაკლები

რუსთაველის გამზ. 31 ტელ.: 442828 www.telecom.ge

სიახლე
ჯეოსელისგან
ჯეო-მიქსი!

GEO *123#
ჯეო MIX მიქსი

აკრიფეთ
*123*9# YES
და
მომენტალურად
დაადგინეთ
მიმდინარე
საფეხბურთო
მატჩების ანგარიშები

SCORE LIVE

wap.geocell.com.ge

## O, SANCTA SIMPLICITAS!

წინა კვირაში რუბრიკა ჩაგვივარდა, რაკი საკბილო ვერაფერი ვიშოვეთ, თუმცა, რაც იმ კვირაში დაგვაკლდა, ახლა ვინაზღაურებთ. ისეთი კვირა გამოდგა, სულ საჩვენრუბრიკო ამბები ხდებოდა.



მინდორზე გადასროლილი იმდენი ბოთლი გვინახავს, კაი პურმარილს ეყოფოდა, ზესტაფონში კი „განსხვავებული" გადააგდეს

ასე, მაგალითად: გაზეთების გულმოდგინედ გადაკითხვის მერეც ვერ გავარკვიეთ, რა მოხდა ბორჯომში „დინამოსთან" მატჩისას.

ახლავე განვმარტავთ, თუ რას ვგულისხმობთ. ვშლით ერთ გაზეთს და ვკითხულობთ, რომ მატჩის მსვლელობისას მოედანზე მასპინძელი გუნდის პრეზიდენტი შეჭრილა. ვშლით მეორე გაზეთს და იქაც იგივეს ვკითხულობთ. მესამეშიც იგივე ამბავია. ამის მერე კი ვკითხულობთ „დინამოს" მმართველი დირექტორის ბუბა ტყავაძის ოფიციალურ განცხადებას, სადაც ირკვევა, რომ „ხშირად ადგილი ჰქონდა უცხო პირების მოედანზე შეჭრას და მსაჯზე ზეწოლის განხორციელებას. ესენი იყვნენ „ბორჯომის" ხელმძღვანელები, პოლიციის თანამშრომლები და სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი მამაკაცები".

ცოტა არ იყოს, დავიბენით: ვერ გავიგეთ, ერთი პრეზიდენტი შეიჭრა მოედანზე თუ ხელმძღვანელები, პოლიციელები და სამოქალაქო პირები — სულ მცირე, ექვსი სული.

მეორე მხრივ, ეს არც ისე პრინციპული საკითხია: ერთი კაცი შეიჭრა მოედანზე თუ ბევრი. მთავარი შეჭრის ფაქტია, რომელსაც არავინ უარყოფს — შეჭრილი პრეზიდენტის ჩათვლით. მეტიც, არათუ უარყოფს, მოედანზე შეჭრის სიკეთეზეც გვიყვება. მეგობარ ჟურნალისტთან საუბრისას „ბორჯომის" პრეზიდენტი ამბობს, მართალია, შეჭრა გამართლებული არ არის, მაგრამ ჩემი შეჭრის მერე მსაჯს ერთი შეცდომაც არ დაუშვია, იქამდე კი საზიზღრად მსაჯობდაო.

ჰოდა, ევრიკა! გამოსავალი ნაპოვნია. რა კუპერის ტესტი, რის სემინარები, რომელი პატიოსნება — თურმე რა იოლი ყოფილა, მსაჯს წესიერად მსაჯობა აიძულო...

ისე, ჩვენში დარჩეს და, ორივე კლუბის პრეზიდენტი რომ გადავიდეს მოედანზე, მსაჯი სულ მთლად მარკუს მერკივით იმსაჯებს თუ ბრინჯივით დაიბნევა?

სხვათა შორის, ზემოთ იმ პრეზიდენტზე გვქონდა ლაპარაკი, ორი კვირით ადრე თავისივე თანამშრომელი რომ დაითხოვა სამსახურიდან, მსაჯთან მიჭრა და ფეხის ჩარტყმა როგორ გაბედეო.

ახლა ზესტაფონურ ამბებზე ვთქვათ. იქ, „სიონის" სტუმრობისას ორი საჩვენო ამბავი მოხდა.

ზესტაფონში კიდევ ერთხელ დამტკიცდა, რომ ადამიანის ფანტაზიას საზღვარი არ აქვს. ჩვენ გვინახავს ტრიბუნიდან მოედანზე ნასროლი დანა, ქვა, ბოთლი, სანთებელა, ბოქლომი. ტელევიზორში გვინახავს, წუწურაქი ქართველების ჯინაზე როგორ ისვრიან უცხოელი გულშემატკივრები მობილურ ტელეფონებს. სულ მთლად გადასარევი შემთხვევა მოხდა რამდენიმე წლის წინ „კამპ ნოუზე", სადაც მავანმა შემწვარი გოჭის თავი ისროლა, მაგრამ პირველად გავიგეთ, გულშემატკივარს მოედანზე „კანისტრა" ესროლოს...

მოდით, გავაანალიზოთ. გაუმართლებელია, მაგრამ გასაგებია, როგორ ხვდება მსროლელის ხელში ბოთლი და ქვა. იმ კატალონიელისაც გვესმის — კაცმა სრულიად შეგნებულად წაიღო გოჭის თავი „იუდა პესეტეროს", იგივე ლუიშ ფიგუსთვის სასროლად. მაგრამ ეგებ ვინმემ აგვიხსნას, სტადიონზე „კანისტრით" წასვლა რატომ უნდა მოგივიდეს აზრად.

ღვთის მადლით, „კანისტრა" პატარა ზომისა იყო, თორემ 20-ლიტრიანი რომ ყოფილიყო...

ერთი ინფორმაციაც იმათთვის, ვინც გამუდმებით იმეორებს, რომ ნოდარ ახალკაცი „ზესტაფონის" ვარჯიშებსაც კი ესწრება და ამ ფაქტითაც ცდილობენ ფედერაციის პრეზიდენტის ს.კ. „ზესტაფონთან" დაკავშირებას. ამიერიდან ახალკაცის ოპონენტებს შეუძლიათ ისიც დაამატონ, რომ ნოდარ ახალკაცი „ზესტაფონის" პრესკონფერენციაზეც დაიარება. რატომ? აბა, ეს ჩვენ საიდან უნდა ვიცოდეთ. ალბათ, იმიტომ, ილია კოკაიას არყოფნაში ზესტაფონელებმა თავი უპრეზიდენტოდ რომ არ იგრძნონ.

ბოლოს კი ნომინაციაში „წლის ფრაზა" წარმოგიდგენთ: „სამსაჯო კორპუსში ალებ-მიცემობა დასრულდა" — ამირან კაჭახიძე, სამსაჯო კომიტეტის თავმჯდომარე.

ჩვენ ეჭვიც არ გვეპარება, რომ დასრულდა და ეგებ სრული სიცხადისთვის ბატონმა თავმჯდომარემ რამდენიმე საკითხშიც გაგვარკვიოს:

1. როდის დასრულდა ალებ-მიცემობა;

2. ბოლოს რომელი მსაჯი და რომელ თამაშზე ამხილეთ ალებაში და, შესაბამისად, რომელი კლუბი მიცემაში.

თუ ამ კითხვებზე პასუხს ვერ მივიღებთ, ლოგიკური იქნება, ვიფიქროთ, რომ ალებ-მიცემობა სამსაჯო კორპუსში სულაც არ დასრულებულა.

*პატივისცემით, ავტორი*

## დავით ყიფიანის თასი
### ნახევარფინალი. პირველი მატჩი

ბოლნისი. 8 აპრილი. 16 საათი. თამაზ სტეფანია

### სიონი — ამერი

**მსაჯები:** ლ. კვარაცხელია; მ. ელიკაშვილი, მ. ურუშაძე; ა. ნონიკაშვილი;
**დამკვირვებელი:** ა. შალამბერიძე; **დელეგატი:** ა. კაჭახიძე
**დისკვალიფიცირებულნი:** მიხეილ კობაური, დავით სვანიძე (ორივე სიონი)

# პირველი სერია ბოლნისში იქნება
## სიონ-ამერის დაცვა-თავდასხმა ტოლსწორობაზე შეთანხმდნენ

ბოლნისის „სიონსა" და თბილისის „ამერს" საქართველოს თასისზე ერთმანეთთან აქამდეც უთამაშიათ. წინა გათამაშებაში ეს გუნდები მერვედფინალში დაწყვილდნენ. მაშინ „ამერი" პირველი ლიგის ბინადარი იყო, „სიონი" კი უმაღლესში ისე ვერ ყოჩაღობდა, როგორც წლეულს. შარშანდელი ორივე მატჩიც თბილისელთა გამარჯვებით დამთავრდა, ბოლნისში „ამერმა" 3:2 მოიგო, თბილისში კი 2:0. მოკლედ, ამ გუნდებს ერთმანეთთან სათასო გამოცდილება უკვე აქვთ და, წესით და რიგით, მათი ეს ნახევარფინალი ძალიან საინტერესო და ქომაგისთვის მიმზიდველი უნდა გამოდგეს.

ერთიცაა, „ამერმა", ვისი მიზანიც წლეულს ევროსაგზურის მოპოვებაა, ჩემპიონატში ზედიზედ სამი წაგების შემდეგ პრიზიორთა შორის მოხვედრის შანსი თითქმის დაკარგა და ვფიქრობთ, მიზნის მისაღწევად თასზე გაორმაგებული ენერგიით ითამაშებს. „სიონი" კი უკვე საქართველოს ჩემპიონობისკენ მიიწევს და ამის კარგი შანსიც აქვს. თუმცა დუბლზე უარის მთქმელი, აბა, რომელი გუნდი გინახავთ?!

დღევანდელ მატჩში „სიონი" ორ დისკვალიფიცირებულ ფეხბურთელს ვერ ათამაშებს: ცენტრალური და ფლანგელი მცველები დავით სვანიძე და მიხეილ კობაური ზესტაფონში წინა ტურის მატჩისას გააფრთხილეს და ამ სათასო მატჩსაც დააკლდებიან. „ამერს" კი, მართალია, დასჯილი არავინ ჰყავს, თუმცა ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე ფეხბურთელი შეუძლოდაა და შესაძლოა, ისინი ბოლნისში ვერ ვნახოთ. „ამერს" რამდენიმე დღეა, გრიპის ვირუსი დაერია და ამის გამო ბოლო ორ შეხვედრაში მწვრთნელმა გიორგი ჩიხრაძემ ოპტიმალური შემადგენლობა ვერ ათამაშა. ხოლო დღეს როგორ იქნება, მოედანზე ვნახავთ.

იქამდე კი, ორივე გუნდის დაცვისა და თავდასხმის ლიდერებს დავუკავშირდით და კომენტარი ვთხოვეთ...



*სულიკო დავითაშვილი (ამერი):*

— ზედიზედ სამი მატჩი კი წავაგეთ, მაგრამ ეგ არაფერი. ახლა „სიონთან" მატჩისთვის განსაკუთრებით ვემზადებით და მჯერა, სასურველ შედეგსაც მივიღებთ.

**— როგორ ფიქრობ, „სიონის" დამარცხება რის ხარჯზე შეგიძლიათ?**

— ვერაფერს გეტყვით, ვითამაშებთ და ვნახოთ... ტაქტიკას მწვრთნელი შეარჩევს და შესაბამის დავალებასაც მოგვცემს. დანარჩენი კი მოედანზე ჩვენი საკეთებელი იქნება. თუმცა მოუნდომებლად ვერაფერს მივაღწევთ.

**— ფავორიტად ვინ მიგაჩნია?**

— შანსები თანაბარია. რა იქნება, წინასწარ ვერავინ იტყვის. ბოლნისელებს ურთულესი თამაში ელით. ჩვენ კი ჩემპიონატში ბოლო წარუმატებლობის შემდეგ ქომაგის თვალში რეაბილიტაცია გვსურს. მოკლედ, ძალიან რთული მატჩები იქნება.



*ვახტანგ ხვადაგიანი (ამერი):*

— რა თქმა უნდა, „სიონთან" მატჩისთვის განსაკუთრებულად ვემზადებით. ჩემპიონატში ლიდერებს ჩამოვრჩით და ახლა მთელი ყურადღება თასზე გვაქვს. პირველი მატჩის წინ მცირე უპირატესობა „სიონისაა", რადგანაც მასპინძელია, თუმცა ჩვენ არაფრის დათმობას არ ვაპირებთ. რომელი გუნდიც უკეთ იქნება მომზადებული, საბოლოოდ ის მოიგებს.

**— „სიონში" შენთვის უხერხული რომელიმე თავდამსხმელი თამაშობს?**

— არავის გამოვარჩევ. ისე კი, რა თქმა უნდა, „სიონი" ძალიან ძლიერი გუნდია.

**— „სიონთან" მატჩებისას „ამერის" კოზირი რა იქნება?**

— გუნდური თამაში.



*დავით ჭიჭველიშვილი (სიონი):*

— ძალიან დაძაბული თამაშის მოლოდინში ვარ. ბოლნისში პირველი მატჩი იქნება და ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ საკუთარ კარში გოლი არ მივიღოთ. საპასუხო მატჩისას ეს შესაძლოა გადამწყვეტი აღმოჩნდეს.

**— „ამერიდან" რომელიმე ფეხბურთელს განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევთ?**

— არა, მთლიანად „ამერია" ყურადღებამისაქცევი. კარგი ფეხბურთელებით დაკომპლექტებული გუნდია.

**— ფავორიტად ვინ მიგაჩნია?**

— ფავორიტობაზე ლაპარაკი ჯერ ადრეა. შანსები თანაბარია.



*კოკა მიკუჩაძე (სიონი):*

— „ამერთან" სათამაშოდ ჩვეულებრივ, ყოველგვარი დაძაბულობის გარეშე ვემზადებით. თუმცა ისიც ვიცით, რომ წინ ძალიან მნიშვნელოვანი მატჩი გველის.

**— ითქვა, რომ „სიონს" მეტი ყურადღება ჩემპიონატზე აქვს გადატანილი და თასზე შესაძლოა ძალები დაზოგოსო...**

— მსგავსი არაფერი, ჩვენი სურვილია, ჩემპიონებიც გავხდეთ და თასიც მოვიპოვოთ. ყველა მატჩს როგორც გადამწყვეტს, ისე ვთამაშობთ.

**— რას იტყვი, „სიონს" მეტოქის დამარცხება რის ხარჯზე შეუძლია?**

— მთავარია მონდომება და სწორი ფეხბურთის თამაში, თანაც, უნდა გაგიმართლოს. ვისაც უფრო გაუმართლებს, ის მოიგებს.

**— „ამერში" არის ისეთი ფეხბურთელი, ვის წინააღმდეგაც თამაში არ გამოგდის?**

— არა, ასეთი ფეხბურთელი არ არის...

**ჭოგა ინასარიძე**

# დავით ყიფიანის თასი

## ნახევარფინალი. პირველი მატჩი

მცხეთა. 8 აპრილი. 16 საათი. არმაზი

## ვიტ ჯორჯია – ზესტაფონი

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი; ლ. მიქელაძე, ზ. მენთეშაშვილი; გ. ვადაჭკორია;
დამკვირვებელი: ნ. კაკულია; დელეგატი: შ. ბაქრაძე
დისკვალიფიცირებულნი: გიორგი განუგრავა, ზურაბ იონანიძე (ორივე ზესტაფონი)



# ვიტ ჯორჯია: სტუმარ-მასპინძლობა კარგისთვის სულერთია

# ზესტაფონი: სულერთი იქნება იონანიძე-განუგრავას არყოფნა?

ეს გუნდები ჩემპიონატის მეორე წრეში უკვე შეხვდნენ ერთმანეთს — 25 მარტს მცხეთაში „ზესტაფონმა“ 2:1 მოუგო „ვიტ ჯორჯიას“ და იმ მატჩის გმირი ზურაბ იონანიძე დღეს დისკვალიფიკაციის გამო ვერ დაეხმარება თავისიანებს. კობა ჟორჟიკაშვილის გუნდში კიდევ ერთი დანაკლისია — გიორგი განუგრავაც დასჯილია და ვერ ითამაშებს.

ბარემ იმასაც გეტყვით, თუ რა მონაგარი აქვთ წლეულს ამ გუნდებს: ჩემპიონატში „ვიტ ჯორჯიამ“ ექვსი მატჩი მოიგო, ერთი ფრედ ითამაშა და ერთიც წააგო, ხოლო „ზესტაფონმა“ ხუთი მოიგო და სამი ფრით დაასრულა — მოკლედ, „ზესტაფონი“ მეორე ეტაპზე დაუმარცხებელია, თასის მეოთხედფინალში კი გზიდან თბილისის „დინამო“ ჩამოიცილა — შინ 1:0, სტუმრად 0:0.

„ვიტ ჯორჯიას“ საშინაო მატჩებზე „არმაზის“ სტადიონი არ ივსება, მაგრამ დღეს მცხეთაში ალბათ ორი ათასამდე მაყურებელი ეყოლება ამ შეხვედრას.

***ნესტორ მუმლაძე, „ვიტ ჯორჯიას“ მთავარი მწვრთნელი:***

— ასეთი გადატვირთული კალენდარი დიდ სირთულეებს უქმნის ფეხბურთელებს, 1 და 5 აპრილს ჩემპიონატის ტურები იყო, ახლა კი თასის ნახევარფინალი — ძალების აღდგენა ასეთ დროს ძალიან ძნელია. 5 აპრილს „ამერთან“ ვითამაშეთ, მატჩის მეორე დღეს ფეხბურთელები დავასვენეთ და გამოდის, რომ თასის ნახევარფინალის წინ მხოლოდ ერთი ვარჯიშის ჩატარება მოვახერხეთ.

— ფეხბურთელთა როტაციაზე არ გიფიქრიათ?

— ისეთ გუნდთან, როგორიც „ამერია“, წამყვან ფეხბურთელებს ვერ დავასვენებდით და, ცხადია, ვერც „ზესტაფონთან“ ვიზამთ ამას.

— „ზესტაფონს“ ჯერ შინ ეთამაშებით და მერე სტუმრად, სადაც მატჩებს, სულ მცირე, ექვსი-შვიდი ათასი მაყურებელი ესწრება. როგორ ფიქრობთ, „ზესტაფონს“ საპასუხო თამაში შინ რომ აქვს, ეს გარკვეულ უპირატესობას აძლევს?

— შესაძლოა, სხვა ასე ფიქრობს, მაგრამ ჩემთვის სულერთია, ჯერ შინ ვითამაშებთ თუ სტუმრად — როცა კარგი გუნდი გყავს, ამაზე არ ფიქრობ.

— „ვიტ ჯორჯია“ „ზესტაფონთან“ პირველ მატჩში ფრთხილ ტაქტიკას აირჩევს?

— ამას წინასწარ ვერ გეტყვით.

— „ზესტაფონს“ ახალი მწვრთნელი ჰყავს — კობა ჟორჟიკაშვილი დაცვითი ფეხბურთის მიმდევრად არ მიიჩნევა...

— მოწინააღმდეგეზე ლაპარაკი არ მსურს.

— ჩემპიონატის მეოცე ტურში შინ დამარცხდით „ზესტაფონთან“, რაც ალბათ თავისებური გაკვეთილი იყო...

— ეს სულ სხვა თამაში იქნება, ამ დაპირისპირებაში გამარჯვებული ხომ ორი მატჩით გამოვლინდება.

— ყბადაღებულ თემად იქცა ის, რომ „ვიტ ჯორჯიას“ ფორვარდებს გოლის გატანა ძალიან უჭირთ...

— მთავარია, ფორვარდებმა მწვრთნელის დავალება კარგად შეასრულონ, თორემ თუ დღეს ვერ გააქვთ გოლი, ხვალ გაიტანენ.

***კობა ჟორჟიკაშვილი, „ზესტაფონის“ მთავარი მწვრთნელი:***

— გავითვალისწინებთ იმას, რომ პირველი თამაში სტუმრად გვაქვს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ უფრო დაცვაზე ვიქნებით ორიენტირებულნი — შეტევაზეც უნდა ვიფიქროთ.

— რომელი ფეხბურთელებით აპირებთ იონანიძისა და განუგრავას შეცვლას?

— მათი შემცვლელების ვინაობას ახლა ვერ გეტყვით. რაც შეეხება დანაკლისს, გუნდი მხოლოდ 11 ფეხბურთელისგან არ შედგება, ყველა იმ ფეხბურთელის იმედი გვაქვს, ვინც გვყავს.

— საპასუხო თამაში შინ გაქვთ, რაც ალბათ ხელს აძლევს „ზესტაფონს“...

— მეორე თამაში შინ რომ გაქვს, ეს ხანდახან იძლევა მცირე უპირატესობას, მაგრამ არა ყოველთვის.

— ჩემპიონატის წინა ტურში „სიონთან“ შინ 0:0 ითამაშეთ, ბოლნისელებს და „ვიტ ჯორჯიას“ ცხრა ქულით ჩამორჩებით და ალბათ „ზესტაფონისთვის“ პრიორიტეტი თასის აღება გახდა...

— ჩემპიონობის შანსი კიდევ შეგვრჩა და რაც შეიძლება მაღალი ადგილის მოსაპოვებლად ვიბრძოლებთ. ასე რომ, ორივე ფრონტზე კვლავ ერთნაირი მონდომებით მოგვიწევს ბრძოლა.

— „ზესტაფონიც“ და „ვიტ ჯორჯიაც“ გამოცდილი და ახალგაზრდა ფეხბურთელების ნაზავია — როგორ ფიქრობთ, უფრო გამოცდილი რომელ გუნდს ეთქმის?

— ამას ზეპირად ვერ გეტყვით, ეს სტატისტიკური მონაცემებით უნდა გამოჩნდეს.

— მცხეთაში ფრეს წარმატებულ შედეგად ჩათვლით?

— წარმატებული შედეგი ფინალში გასვლა იქნება. „ვიტ ჯორჯია“ წლებია, ერთ-ერთი საუკეთესო გუნდია საქართველოში, შანსებს კი თანაბრად ვაფასებ.

**დავით თაყართქილაძე**

# ვი რუსული კომპლექსი

## გაკვეთილი სული და სულის გაკვეთილები

ქართული სპორტი განვითარების ახალი გზების ძიებაშია. ასეთი რამ ბუნებრივიცაა მაშინ, როდესაც ქვეყანაში ძირეული ცვლილებებია. პოსტტოტალიტარული სივრცე კი ერთი მეტად უცნაური და მარტივი ნიშნით ხასიათდება. ეს არის მენტალური მდგრადობის პრობლემა. მიუხედავად გარეთ არსებული სოციალური ინსტიტუტების რღვევისა, ადამიანის შიგნით არსებული სტერეოტიპული სამყარო მაინც განსაკუთრებული სიმტკიცით ხასიათდება. ასეთია ადამიანური ბუნება. როგორც იტყვიან, შეუჩვეველს ნუ შეაჩვევ და შეჩვეულს ნუ გადააჩვევო. ეს ზოგადად თაობების პრობლემაა და ამიტომაცაა მათ შორის დაპირისპირება ყოველთვის აქტუალური

შევხედოთ სიმართლეს თვალებში. რა მემკვიდრეობა დაგვიტოვა ავტორიტარულმა ცნობიერებამ? ყველაზე თვალსაჩინოა არასრულფასოვნების კომპლექსი. ქართველები გადავეჩვიეთ დამოუკიდებელ და სრულფასოვან არსებობას. მხოლოდ თავის მოტყუება იქნება იმის ტრაბახი, რომ ჩვენ დიდი მიღწევები გვქონდა კომუნისტური არსებობისას. სხვათა შორის, ამასაც აქვს თავისი ახსნა. იმ პერიოდში ქართველებმა ძალიან კარგად მოვირგეთ მონური არსებობის სიკეთეები. ფსიქოლოგიაში ეს სუბლიმაციის სახელით არის ცნობილი, რაც, მარტივად რომ ვთქვათ, არსებული პოტენციალის ირიბი გზით, მხოლოდ ნაწილობრივ გამოვლენას გულისხმობს.

ამ კომპლექსის „სიკეთეები“ ძალიან კარგად ჩნდება სპორტშიც, კერძოდ, გუნდური სახეობის სპეციფიკაში. გუნდი ის სივრცეა, სადაც ემოციურ დონეზე ძალზე სწრაფად ხდება ჩვენ შიგნით არსებული „ჩრდილოვანი“ ნაწილის აქტივირება. საკმარისია წინასწარ დაგეგმილი სცენარიდან ამოვარდნა (სპორტული შეჯიბრება კი სწორედ ასეთი ნიშნით ხასიათდება, ამიტომ აქვს მას დიდი ხიბლი), რომ მაშინვე ჩნდება საშიშროება — გუნდი ველარ ახერხებს სულისკვეთების შენარჩუნებას. ეს ვირუსი ძალზე საშიშია სწორედ გუნდური სულისკვეთების შენარჩუნების თვალსაზრისით. ცნობილი ფაქტია, როდესაც არ არსებობს „თვითფლობის“ სრულყოფილი განცდა, ძალზე რთულდება არაპროგნოზირებად სივრცეში ეფექტური ორიენტირება.

სწორედ ამ საკითხზე გააკეთა აქცენტი საქართველოს ნაკრების ახალმა თავკაცმა კლაუს ტოპმიოლერმა. ეტყობა, ეს პრობლემა „გარედან“ უფრო თვალნათლივ ჩანს. „მერწმუნეთ, საქართველოს ნამდვილად ეყოლება ძლიერი და კარგი ნაკრები, მაგრამ ამისათვის ორი რამ არის აუცილებელი: ფეხბურთელები ნაკრებში გამოცხადდნენ პირველივე დაძახების დროს და მეორე, პატრიოტიზმია საჭირო. ქვეყნის სიყვარულს მე ვერ ვასწავლი, შეიძლება, ფსიქოლოგიურად თამაშისთვის განვაწყო, ტაქტიკურად მოვამზადო და ა.შ. მაგრამ თუ ფეხბურთელი თავისი ქვეყნის პატრიოტი არ იქნება, მე ვერაფერს ვუშველი. ყველა ფეხბურთელს, რომელიც ნაკრებში იქნება გამოძახებული, ერთი მიზანი უნდა ამოძრავებდეს“.

პატრიოტიზმის სწავლას ნამდვილად ვერ მოვთხოვთ ცნობილ გერმანელ სპეციალისტს. მით უმეტეს, მაშინ, როდესაც ამის სწავლა, ფაქტობრივად, შეუძლებელია. ეს, ზოგადად, აღზრდის პრობლემაა და თუ გვინდა, ძლიერი ნაკრები გვყავდეს, სულ თავიდან უნდა დავიწყოთ. უარი უნდა ვთქვათ აღზრდის არსებულ სტერეოტიპზე. რეფორმაა საჭირო ბავშვთა საფეხბურთო სკოლებში, მაგრამ, როგორც უკვე ვთქვი, ამისთვის, სულ მცირე, თვითონ რეფორმირებული აღმზრდელი და გამართული სისტემის ჩამოყალიბებაა აუცილებელი. მხოლოდ ამის შემდეგ გვექნება რეალური პრეტენზია წარმატებებზე.

**ზაზა მინდიაშვილი**
**ფსიქოლოგი**



# ტოპმიოლერის კოქტეილი: ქართული პლასტიკა პლუს გერმანული პედანტიზმი



ვაჟა ფიცხელაურის ფოტო

წინა შაბათ-კვირას საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი კლაუს ტოპმიოლერი უკრაინას სტუმრობდა და ოდესაში „ჩერნომორეც“ — „ვოლინის“ შეხვედრას ადევნა თვალი.

ნამატჩევს ჰერ კლაუსი ოდესურ კაფე „პიკნიკში“ „ჩერნომორეცის“ დამრიგებელ სემიონ ალტმანს შეხვდა, რომელიც იმავდროულად უკრაინის ნაკრების ერთ-ერთი მწვრთნელიცაა. მათ საუბარს გაზეთ „მეგასპორტის“ ჟურნალისტიც შეუერთდა და, ბუნებრივია, სახელოვან გერმანელს ინტერვიუ სთხოვა...

— ჰერ ტოპმიოლერ, როგორ მოხვდით სამხრეთ პალმირაში, საქართველოს ნაკრების წევრობის კანდიდატებს აკვირდებით?

— ეს ძირითადი მიზანია. საქართველოს ნაკრების წევრობის კანდიდატთა სია საკმაოდ ვრცელია და მათი უმრავლესობა მთელ ევროპაშია გაფანტული, მათ შორის უკრაინაშიც. წლეულს გამართულ ორ შეკრებაზე ყველას არ მისცემია საკუთარი შესაძლებლობების წარმოჩენის შანსი. მაგალითად, კახა მჟავანაძე და ილია კანდელაკი მალტაში მოლდოვის ახალგაზრდულ ნაკრებთან მატჩისთვის გამოვიძახე, მაგრამ სავიზო პრობლემების გამო ვერ ჩამოვიდნენ. ვერ მოხერხდა მათი ჩამოსვლა ალბანეთშიც და აი, თავად ჩამოვედი „ჩერნომორეცის“ მატჩზე დასასწრებად.

— როგორი შთაბეჭდილება დატოვეს თქვენზე „ჩერნომორეცის“ ქართველებმა?

— საკმაოდ პოზიტიური საიმისოდ, რომ მაისის ბოლოს ავსტრიულ შეკრებაზე ვუხმო. ამ ეტაპზე დაახლოებით 25 მატჩზე დასწრება დამჭირდება, რათა ნაკრების ბირთვთან დაკავშირებით ჩამოვყალიბდე.

— როგორია ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ციკლამდე თქვენი გუნდის სპარინგთა განრიგი?

— ჯერჯერობით ამ განრიგს საკმაოდ ზოგადი სახე აქვს. ასი პროცენტით შემიძლია გითხრათ, რომ მაისის ბოლოს ავსტრიაში ერთ ან ორ მატჩს გავმართავთ მომავალი მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილეებთან. ყველაზე სავარაუდო პარაგვაელებთან და ტუნისელებთან სპარინგია.

— როგორც ვიცი, პირდაპირი მოვალეობების გარდა უკრაინაში თქვენს ვიზიტს სხვა დატვირთვაც აქვს...

— უკრაინის ჩემპიონატის საერთო დონეს ვაკვირდები. აქამდე მხოლოდ ის ვიცოდი, რომ ტონის მიმცემნი ევროპაში კარგად ცნობილი კიევის „დინამო“ და დონეცკის „შახტარი“ არიან. „ჩერნომორეც“ — „ვოლინის“ მატჩი კი საშუალებას მაძლევს, იმ კლუბთა დონეზეც ვიმსჯელო, უახლოეს წლებში გრანდებს რომ შეავიწროვებენ. მოკლედ, ასეთ დასკვნას გავაკეთებ: თქვენი პირველობის დონე გაცილებით აღემატება საქართველოსას, თუმცა საქართველო ალბათ უფრო მდიდარია ტალანტებით...

— ანუ, თქვენი ერთ-ერთი მიზანი გამოცდილებისა და ახალგაზრდების შერწყმაა?

— დიახ. ძლიერი ქართველი ფეხბურთელი ბევრია, თუმცა ძლიერი გუნდი ჯერჯერობით არ არსებობს. ამასთან, არასაკმარის ინფორმაციას ვფლობ ქართველი ფეხბურთელების შესახებ. გერმანიაში მუშაობის პერიოდში ქართველთა კლუბები მეტოქედ არაერთხელ მყოლია, მაგრამ ახლა ჩვენ ბარიკადების ერთ მხარეს აღმოვჩნდით და ერთგვარ გაურკვევლობაში ვარ. იმაზე აშკარად მეტში, ვიდრე ჩემი ფრანგი კოლეგა რაიმონ დომენეკი, იტალიელი მარჩელო ლიპი ან თუნდაც იურგენ კლინსმანი თავისი ბუნდესგუნდით. იგივე კადრები ჩემს განკარგულებაში რომ იყოს, რა თქმა უნდა, საქმე გამიადვილდებოდა.

— მაგრამ თქვენს განკარგულებაში ხომ რამდენიმე მართლაც მაღალი დონის ფეხბურთელია?

— მათზე არც მაქვს ლაპარაკი. მზად ვარ, კახა კალაძეს, ლევან კობიაშვილს, შოთა არველაძეს, მალხაზ ასათიანს და გიორგი დემეტრაძეს ბრმად ვანდო ადგილი ძირითად შემადგენლობაში.

— კახა მჟავანაძისა და ილია კანდელაკის გარდა, უკრაინაში მოთამაშე რომელმა ქართველმა ლეგიონერებმა დაიმსახურეს თქვენი ყურადღება?

— თამამად ვიტყვი, რომ ლაშა ჯაკობია მჭირდება. ტირანაში ალბანელებთან მატჩში საქართველოს ნაკრებს ჯაკობიამ უკაპიტნა. კიდევ ერთი ფეხბურთელი, რომელიც ჩვენი ინტერესის სფეროში მოხვდა, კიევის „არსენალის“ წევრი ჯაბა კანკავაა.

— თვლით თუ არა, რომ აუცილებელია კოლორიტულ სამხრეთულ ტემპერამენტთან გერმანული მენტალიტეტის შეზავება?

— საუკეთესო თვისებათა სიმბიოზი უნდა შევქმნათ. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ქართველი ფეხბურთელები ბუნებრივად ძალიან ტექნიკურები, პლასტიკურები არიან და ქვეცნობიერად უპირატესობას გარეგნულ ეფექტებს ანიჭებენ. თუ ამას დავუმატებთ გერმანულ პედანტიზმს, დისციპლინას და ტაქტიკურ განსწავლულობას, შესაძლოა, შედეგმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბოს...

# ჩვენს მაჭარს რუსები აღვინებენ

## ირაკლი გეფერიძე: თავიდან ბოლომდე ქართველი ვარ

19 წლის ირაკლი გეფერიძე რუსული ფეხბურთის ახალი თაობის ერთ-ერთ საუკეთესო თავდამსხმელად ითვლება. მეტიც, მან ჯერ კიდევ 17 წლისამ ითამაშა რუსეთის 19-წლამდელთა ნაკრებში და გოლი გოლზე გაჰქონდა. ჯერ არ ვიცით, რა დონის ტალანტი დაიკარგა საქართველოსთვის — გეფერიძე ის მაჭარია, რომლისგანაც კარგი ღვინის დაყენება შეიძლება, მაგრამ... ამ ღვინოს რუსები დალევენ.

ირაკლი სოხუმში დაბადებულ-გაზრდილია, ქართულად გამართულად ლაპარაკობს. მისი ოჯახი კი 8 წლის წინ წავიდა რუსეთში საცხოვრებლად...

მოდით, დანარჩენი თავად ფეხბურთელისგან გავიგოთ — ირაკლის გუშინ ნიჟნი ნოვგოროდში დავუკავშირდით...



— საცხოვრებლად სოხუმიდან თბილისში რომ გადმოვედით, მაშინვე „ნორჩ დინამოელში“ ჩავირიცხე. ჯერ გელა გომელაური, მერე კი ზორბეგ ებრალიძე მავარჯიშებდა. 1998 წელს, 11 წლისა რომ ვიყავი, მამა მოსკოვში წავიდა სამუშაოდ და ოჯახიც თან წაგვიყვანა. ყველაფრის მიუხედავად, მე თავიდან ბოლომდე ქართველად ვთვლი თავს.

— შარშან რამენსკოეს „სატურნში“ თამაშობდი, თუმცა, როგორც ვიცით, სხვა გუნდში გიპირებდნენ განათხოვრებას...

— რუსეთის პირველი დივიზიონის ნიჟნი ნოვგოროდის „სპარტაკში“ გამანათხოვრეს. „სატურნი“ ამბიციური კლუბია, გამოცდილ ლეგიონერებზე აკეთებს აქცენტს, მე კი 19 წლის ვარ და გამიჭირდებოდა ძირითად შემადგენლობაში მოხვედრა. ნიჟნი ნოვგოროდში, მართალია, კარგი ფეხბურთელები არიან, მაგრამ თამაშის პრაქტიკა ოდნავადაც არ მომაკლდება. ერთი წლით ვარ განათხოვრებული.

— არადა, „სატურნის“ დუბლებში უდავოდ საუკეთესო იყავი და რატომ არ გადაგიყვანეს მთავარ გუნდში?

— წელან ვთქვი, თავს ნაღდ ქართველად ვთვლი და მეამაყება-მეთქი. სწორედ ამან მაიძულა „სატურნიდან“ წამოსვლა. კერძოდ, კლუბის ადმინისტრაციას ქართველები არ უყვარს. ზურაბ არზიანიც შარშან იქ იყო დუბლებში, მაგრამ ეს ადმინისტრატორი არც მე მახარებდა და არც მას. სეზონის წინ ახალი ფეხბურთელები მოიყვანეს და მასაც მეტი რა უნდოდა, მომბეზრდა ეს ქართველებიო, თქვა და...

— რაღაც უცნაურია. ადმინისტრატორს ასეთ რამეებს ვინ ეკითხება?

— გასაკვირი კია, მაგრამ ასეთი კაცია და კლუბში რატომღაც ძალიან დიდი გავლენა აქვს. ენის მიტანა და ყველგან ცხვირის ჩაყოფა მისი მოგონილია. თავიდან „სატურნში“ კარგი მწვრთნელი შემხვდა, კოშილიოვი, სულ მათამაშებდა, გუნდს შედეგიც კარგი ჰქონდა, მაგრამ მერე ევგენი ბუშმანოვი მოვიდა და ამითვალწუნა. ეს ის ბუშმანოვია, ცეესკაში რომ თამაშობდა. წარმოიდგინეთ, ერთ თამაშში დამაყენებდა, გოლს გავიტანდი, მაგრამ მერე ან დაცვაში დამწევდა ხოლმე, ან საერთოდ არ მათამაშებდა.

— მიუხედავად ამისა, რუსეთის 19-წლამდელთა ნაკრების მთავარი ბომბარდირი იყავი. 21-წლამდელებში მოხვედრის შანსი თუ გაქვს?

— როგორ არა... ივნისში ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები გველის და, როგორც ვიცი, 21-წლამდელთა კანდიდატებში მეც ვარ.

— საქართველოს ნაკრებში თამაში არ გინდოდა? აქედან არავინ შეგხმიანებია?

— არა. ტყუილი რად მინდა, არავის მოუმართავს საქართველოდან. ერთი პერიოდი „სატურნშიც“ მაგრძნობინეს, თუ რუსეთის მოქალაქეობას არ მიიღებ, აქ ვერ გათამაშებთო. რა უნდა მექნა, სამშობლოდან არავის დაურეკავს და, ფაქტობრივად, კარიერა ჩემი ხელით უნდა დამენგრია. ვიცი, ახლა რასაც მკითხავთ და აღალად გეტყვით: საქართველოს ნებისმიერი ასაკის ნაკრებიდან რომ შემხმიანებოდნენ, დიდი სიამოვნებით ჩამოვიდოდი.

— შენი თამაში ქართველ გულშემატკივარს, ალბათ, არც უნახავს. როგორი ტიპის თავდამსხმელი ხარ?

— უფრო უკანდაწეული ფორვარდი ვარ. ეს ჩემი საყვარელი პოზიციაა. ხშირად ოდნავ ფლანგებიდანაც მითამაშია, დაახლოებით გარემარბის ადგილზე. ჩემს კოზირად კი სისწრაფეს მივიჩნევ.

— შენი საუბრიდან გამომდინარე, ალბათ, ქართველებთან უფრო მეგობრობ, ვიდრე რუსებთან...

— ასეა. თბილისშიც ჩამოვდივარ, როცა შესვენება გვაქვს. ბოლოს დეკემბერში ვიყავი. როგორც გითხარით, 11 წლისა წავედი მოსკოვში და იქ ქართული სკოლა დავამთავრე. მოსკოვში, არბატზე ქართული ცეკვის ანსამბლი „კავკასიონია“ და იქაც დავდიოდი...

ილია ნანოგაშვილი



# YES, იენს!

**გადაწყდა:** მსოფლიოს ჩემპიონატზე გერმანიის ნაკრების მთავარი მეკარე იენს ლემანი იქნება. შესაბამისად, „ბაიერნის" გოლკიპერს, ლემანის მოძულე ოლივერ კანს სათადარიგოთა სკამზე მოუწევს ჯდომა.

„ჩემთვის ყველაზე ძნელი ამ გადაწყვეტილების მიღება იყო" — განაცხადა ბუნდესმწვრთნელმა იურგენ კლინსმანმა მას მერე, რაც გუშინ თავის ასისტენტებთან ითათბირა.

ორივე მეკარე 36 წლისაა, თუმცა გამოცდილებაში დიდი განსხვავებაა: კანს ნაკრების მაისურა 84-ჯერ სცმია, ხოლო ლემანს 29-ჯერ. კანი წინა მუნდიალზე ნაკრების კაპიტანი გახლდათ, თუმცა ბოლო დროს ლემანი გაცილებით საიმედოდ დგას კარში. კერძოდ, „არსენალის" მეკარეს ვერც „რეალმა" გაუტანა და ვერც „იუვენტუსმა".

ოლივერ კანს კლინსმანის გადაწყვეტილება ცხადია, არ ესიამოვნა. „ეს მოულოდნელი და ცუდი ამბავია. ახლა ბუნდესლიგისა და თასის მოგებაზე უნდა ვიფიქრო. გამორიცხული არაა, ნაკრებში თამაშზე უარი ვთქვა" — განაცხადა კანმა.

**პაპუნა ქედია**

# შავზე უთქვამთ, თეთრიაო

**გერმანიის** სასამართლომ ნეონაცისტურ პარტია **NPD**-ს ბროშურიდან პატრიკ ოვომოიელას სურათის ამოღება უბრძანა. მოგეხსენებათ, „ვერდერისა" და გერმანიის ნაკრების მცველი ზანგია, დედით გერმანელი, მაგრამ მამით ნიგერიელი, ნაცისტებმა კი თავიანთი ქვეყნის გუნდში ფერადკანიანის ყოლა შეურაცხყოფად მიიღეს. ბროშურაში, რომელიც **NPD**-მ დაბეჭდა, არის 26 წლის ოვომოიელას ფოტო, სადაც ის ეროვნული გუნდის თეთრ მაისურაშია გამოწყობილი და ამ ფოტოს წარწერა აქვს: ეროვნული გუნდისთვის მხოლოდ მაისურის სითეთრე არ არის საკმარისი!

სასამართლოში საქმე თავად ოვემოიელამ და გერმანიის საფეხბურთო კავშირმა შეიტანეს. ფეხბურთელი ფულად კომპენსაციასაც ითხოვს.

**პაპუნა ქედია**



ოვომოიელა ფაშისტებს უჩივის



# მადრიდიდან მაკაიმდე

**მიუნხენის** „ბაიერნის" თავკაცებმა იციან, რომ მადრიდის „ატლეტიკო" როი მაკაის შეძენით დაინტერესდა. „მარკას" ცნობით, „ატლეტიკო" ექსდეპორელი ფორვარდის ხელში ჩაგდებას ფრიად მონდომებით ცდილობს, ხოლო გერმანული კლუბი ამტკიცებს, რომ თუ მაკაი მომავალი სეზონისთვის სხვაგან გადასვლას მოინდომებს, კლუბისგან დაბრკოლებები არ შეხვდება.

„ბაიერნში" როი მაკაის თამაშით კმაყოფილნი არიან, თუმც 31 წლის ჰოლანდიელს კონტრაქტი გაისად უმთავრდება და მაგათის კლუბში დარჩენას აღარ აპირებს. „ალიანს არენაზე" სანტა კრუზი, პისარო და გერერო ჰყავთ, თან „კიოლნის" პოდოლსკისთანაც წინასწარი ხელშეკრულება გაუფორმებიათ და ამიტომაც მაკაის „ბაიერნიდან" წასვლაში ხელს დიდად არავინ შეუშლის — მიუნხენელებს თავდასხმის „შემსუბუქება" სურთ.

„მარკას" აზრით, გერმანელები „ატლეტიკოს" მაკაის სანაცვლოდ დიდ ფულს არ მოსთხოვენ. „ბაიერნის" ფორვარდის მადრიდში გადასვლა დაახლოებით 7-8 მილიონ ევროდ გადაწყდება. არადა, თავის დროზე ბავარიელებმა როი მაკაი „დეპორტივოსგან" 18 მილიონ ევროდ იყიდეს.

**ლადო ხომერიკი**

| XXIX ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| შტუტგარტი | : | ნიურნბერგი |
| მაინცი | : | ჰანოვერი |
| არმინია | : | აინტრახტი |
| ვერდერი | : | ბაიერნი |
| კიოლნი | : | ვოლფსბურგი |
| დორტმუნდი | : | ლევერკუზენი |
| ლაუტერნი | : | ჰერტა |
| **ხვალ** | | |
| დუისბურგი | : | შალკე |
| ჰამბურგი | : | გლადბახი |

# გერმანია
# მაგათმა სტვენა აკრძალა

**ბუნდესლიგის** დასრულებამდე ექვსი ტური დარჩა და „ბაიერნს" 12 ქულაღა უნდა ჩემპიონობის გასანაღდებლად. დარჩენილი ექვსი მატჩიდან ყველაზე რთული თამაში მიუნხელებს დღეს ბრემენში ელით. „ვერდერმა" ჩემპიონთა ლიგიდან გამოვარდნის შემდეგ ცოტა აურია, მაგრამ ბოლო ორ ტურში ნაბიჯი ისევ გაასწორა და ზედიზედ ორი შეხვედრა გოლგაუშვებლად მოიგო. ჩემპიონობის მცირე შანსი ბრემენელ „მუსიკოსებსაც" აქვთ და დღეს „ბაიერნს" სამ ქულას თუ დაატოვებინებენ, შანსი ოდნავ გაიზრდება.

„ძალიან რთული მატჩი გველის. უკვე მერამდენე წელია, „ვერდერი" ბუნდესლიგის ლიდერებში ტრიალებს და კარგად აწყობილი გუნდია" — თქვა ფელის მაგათმა. მიუხედავად იმისა, რომ წინა ტურში „კიოლნთან" ოლივერ კანის ორი შეცდომა „ბაიერნს" ორი გოლად დაუჯდა, მაგათი მაინც ენდობა 36 წლის მეკარეს და „ვერდერთან" ძირითად შემადგენლობაში ათამაშებს. იურგენ კლინსმანის მოგონილმა, კანისა და ლემანის შეჯიბრმა ბაიერნელი მეკარე „იმსხვერპლა". ფსიქოლოგიური ზეწოლით დათრგუნული კანს სეზონის ბოლოს შეცდომა შეცდომაზე მოსდის.

გუნდზე ცუდად მოქმედებს ისიც, რომ მიხაელ ბალაკმა კონტრაქტი არ გაახანგძლივა და სეზონის ბოლოს მიდის. ქომაგებმა „კიოლნთან" მატჩში ბალაკს უსტვინეს, მაგათმა კი თქვა: „ეს კაცი სტვენას არ იმსახურებს, პირიქით, ბოლო მატჩებში მეტი მხარდაჭერა სჭირდება."

რაკი „ბაიერნი" „ვერდერს" სტუმრობს და ერთ-ერთი ქულებს დაკარგავს, ამით ხელის მოთბობა „ჰამბურგს" შეუძლია, რომელიც მიონხენგლადბახის „ბორუსიას" მასპინძლობს. ბრემენში „ბაიერნმა" თუ წააგო და ჰამბურგელებმა თავისი მატჩი მოიგეს, პირველ-მეორე ადგილებს შორის სხვაობა ოთხ ქულამდე შემცირდება და ბუნდესლიგის ბოლო უფრო საინტერესო გახდება. „ჰამბურგს" კი შეუძლია „ბორუსიას" ძლევა, რომელმაც სტუმრად ნათამაშები 13 მატჩიდან 7 წააგო და მხოლოდ ერთი მოიგო. თომას დოლის გუნდს კვლავ არ ეყოლება დანიელ ვან ბუიტენი, მაგრამ დისკვალიფიკაციამოხდილი ბულარუზი დაუბრუნდა.

„დუისბურგის" ახალი მწვრთნელის, ჰაიკო შოლცის დებიუტი „შალკესთან" მატჩში შედგება. შოლცს, რომელმაც ოთხი დღის წინ იურგენ კოლერი შეცვალა, ბუნდესლიგაში „დუისბურგის" დატოვება დაავალეს და ეს ძალიან ძნელი საქმეა. „შალკემ" კი წინა ტურში შინ წააგო „ჰამბურგთან" და ზედა სამეულში მოხვედრის შანსი გაიუარესა. „ხუმარებსა" და „ვერდერს" შორი ახლა სხვაობა ოთხი ქულაა და გელზენკირხენელებს ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე მოხვედრა თუ სურთ, დუისბურგიდან სამი ქულა უნდა წაიღონ. „ჩვენ ძალიან კარგი ფეხბურთელები გვყავს და დარჩენილ ექვს ტურში ბოლომდე ვიბრძოლებთ მეორე-მესამე ადგილისთვის" — განაცხადა შალკელმა კევინ კურანიმ.

**ვაჟა ხუციშვილი**

| № | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბაიერნი | | 1:2 | 3:1 | 3:0 | 3:0 | 1:0 | | 3:0 | | 1:0 | 2:1 | | 5:2 | 2:0 | 2:1 | 2:1 | 4:0 | 2:2 | 28 | 20 | 6 | 2 | 56:22 | 66 | 12 | 1 | 1 | 34:10 | 37 | 8 | 5 | 1 | 22:12 | 29 |
| 2 | ჰამბურგი | 2:0 | | | 1:0 | 2:1 | | 2:4 | | 0:2 | 1:1 | 3:0 | 2:1 | 1:1 | 0:1 | 1:0 | 3:0 | 2:0 | 3:1 | 28 | 18 | 5 | 5 | 45:22 | 59 | 9 | 2 | 3 | 23:12 | 29 | 9 | 3 | 2 | 22:10 | 30 |
| 3 | ვერდერი | | 1:1 | | | 0:3 | 2:1 | 3:2 | 2:0 | 1:1 | 5:0 | 6:2 | 5:2 | 4:1 | 6:1 | 4:2 | 0:2 | 2:0 | | 28 | 17 | 5 | 6 | 62:32 | 56 | 10 | 2 | 2 | 41:18 | 32 | 7 | 3 | 4 | 21:14 | 24 |
| 4 | შალკე | 1:1 | 0:2 | 2:1 | | 0:0 | 7:4 | 0:0 | 1:1 | | 2:0 | 2:0 | | 2:0 | 2:2 | 1:0 | 2:1 | 3:0 | | 28 | 14 | 10 | 4 | 39:25 | 52 | 8 | 5 | 1 | 25:12 | 29 | 6 | 5 | 3 | 14:13 | 23 |
| 5 | ჰერტა | 0:0 | | 1:2 | 1:2 | | | | 2:2 | 2:0 | 1:1 | 1:1 | 1:0 | 2:0 | 3:0 | 3:1 | 3:0 | 3:2 | 2:4 | 28 | 10 | 10 | 8 | 42:37 | 40 | 7 | 4 | 3 | 25:15 | 25 | 3 | 6 | 5 | 17:22 | 15 |
| 6 | ლევერკუზენი | 2:5 | 0:1 | 1:1 | 1:1 | 1:2 | | 2:1 | | 1:1 | 0:0 | | 1:1 | 2:1 | 4:0 | 1:2 | 5:1 | 3:2 | 2:1 | 28 | 10 | 8 | 10 | 49:42 | 38 | 6 | 5 | 4 | 26:20 | 23 | 4 | 3 | 6 | 23:22 | 15 |
| 7 | დორტმუნდი | 1:2 | 1:1 | 0:1 | 1:2 | 2:0 | | | 2:1 | 0:0 | 0:2 | | 2:0 | | 3:2 | 1:1 | 2:1 | 2:0 | 2:1 | 28 | 9 | 10 | 9 | 36:34 | 37 | 7 | 3 | 4 | 19:14 | 24 | 2 | 7 | 5 | 17:20 | 13 |
| 8 | მიონხენგლადბახი | 1:3 | 0:0 | 2:1 | 0:0 | | 1:1 | 2:1 | | 1:1 | | 0:1 | 2:0 | 4:3 | 1:1 | 1:0 | 4:1 | 2:1 | 2:0 | 28 | 9 | 10 | 9 | 33:37 | 37 | 8 | 5 | 2 | 23:14 | 29 | 1 | 5 | 7 | 10:23 | 8 |
| 9 | შტუტგარტი | 0:0 | 1:2 | 0:0 | 2:0 | 3:3 | 0:2 | 0:0 | 1:1 | | 2:2 | | 1:1 | | | 2:1 | 1:0 | 0:1 | 2:3 | 28 | 7 | 15 | 6 | 28:27 | 36 | 3 | 7 | 4 | 15:16 | 16 | 4 | 8 | 2 | 13:11 | 20 |
| 10 | ჰანოვერი | 1:1 | 2:1 | 0:0 | 1:2 | 2:2 | | | 1:1 | | | 1:1 | 0:1 | 2:0 | 2:4 | 2:2 | 5:1 | 1:1 | 1:0 | 28 | 7 | 13 | 8 | 35:37 | 34 | 4 | 7 | 3 | 21:17 | 19 | 3 | 6 | 5 | 14:20 | 15 |
| 11 | ნიურნბერგი | 1:2 | 2:1 | 3:1 | 1:1 | | 1:1 | 1:2 | | 0:1 | 1:1 | | 2:3 | 0:1 | 1:0 | 3:0 | | 3:0 | 2:1 | 28 | 9 | 7 | 12 | 36:41 | 34 | 6 | 3 | 5 | 21:15 | 21 | 3 | 4 | 7 | 15:26 | 13 |
| 12 | არმინია | 1:2 | 0:2 | 0:1 | 0:1 | 3:0 | 1:0 | 1:0 | 0:2 | 2:1 | 4:1 | 0:0 | | | | 2:0 | 0:0 | | 3:2 | 28 | 9 | 7 | 12 | 28:35 | 34 | 7 | 2 | 5 | 17:12 | 23 | 2 | 5 | 7 | 11:23 | 11 |
| 13 | აინტრახტი | 0:1 | 1:2 | 0:1 | 0:1 | 1:1 | 1:4 | 2:0 | | 1:1 | 0:1 | 1:0 | 3:0 | | 1:1 | | | 5:2 | 6:3 | 28 | 8 | 6 | 14 | 37:45 | 30 | 5 | 3 | 6 | 22:18 | 18 | 3 | 3 | 8 | 15:27 | 12 |
| 14 | ვოლფსბურგი | 0:0 | 0:1 | | 0:0 | 1:1 | 2:1 | 2:2 | 2:0 | 0:1 | 2:1 | 1:1 | 0:0 | 1:0 | | | | 1:1 | 1:1 | 28 | 6 | 11 | 11 | 28:44 | 29 | 4 | 8 | 2 | 13:10 | 20 | 2 | 3 | 9 | 15:34 | 9 |
| 15 | მაინცი | | 1:3 | 0:2 | | 2:2 | 3:1 | 1:1 | 3:0 | 1:2 | | 4:1 | 1:1 | 2:2 | 5:1 | | 0:2 | 1:1 | 4:2 | 28 | 7 | 7 | 14 | 40:45 | 28 | 5 | 5 | 4 | 28:21 | 20 | 2 | 2 | 10 | 12:24 | 8 |
| 16 | კაიზერსლაუტერნი | | 0:3 | 1:5 | 0:2 | | 2:2 | 3:3 | 3:0 | 1:1 | | 1:3 | 2:0 | 1:2 | 3:2 | 0:2 | | 5:3 | 2:2 | 28 | 7 | 6 | 15 | 39:61 | 27 | 4 | 4 | 6 | 24:30 | 16 | 3 | 2 | 9 | 15:31 | 11 |
| 17 | დუისბურგი | 1:3 | | | | 2:1 | 1:3 | 1:1 | 1:1 | 1:1 | 0:0 | 1:0 | 1:1 | 0:1 | 1:0 | | 2:2 | | 1:1 | 28 | 4 | 10 | 14 | 27:52 | 22 | 3 | 7 | 3 | 13:15 | 16 | 1 | 3 | 11 | 14:37 | 6 |
| 18 | კიოლნი | 1:2 | | 1:4 | 2:2 | 0:1 | 0:3 | 0:0 | 2:1 | 0:0 | 1:4 | 3:4 | | 1:1 | | 1:0 | 2:3 | | | 28 | 4 | 8 | 16 | 38:60 | 20 | 2 | 4 | 7 | 14:25 | 10 | 2 | 4 | 9 | 24:35 | 10 |

# არ გვინდა ნაშები, წავიკითხავთ გოეთეს



„რომას“ კაპიტანი და ვარსკვლავი ფრანჩესკო ტოტი, რომელიც, მოგეხსენებათ, დაშავებულია და მსოფლიოს ჩემპიონატის წინ ინტენსიურად მკურნალობს, ტელეკომპანია SKY-ს სარეკლამო კლიპში ითამაშებს. სხვა კლიპებში გადაიღებენ ფაბიო კანავაროს, ლუკა ტონის და კაკას. კლიპს ტელემაყურებელი მსოფლიოს ჩემპიონატის დღეებში იხილავს. სცენარი ასეთია: ტოტი წევს საწოლზე და გოეთეს „ახალგაზრდა ვერტერის ვნებანის“ კითხულობს. ამასობაში ოთახში შედის ახალგაზრდა გერმანელი მედდა და აიძულებს კითხვას თავი დაანებოს, რათა სპორტდარბაზში დაბრუნდეს და მოემზადოს შეჯიბრებისთვის „იყავ უფრო ძლიერი ვიდრე ადრე“.

ვიცით სხვა კლიპების ამბავიც. კაკა ბრაზილიაში გერმანულად იცეკვებს, ტონი მოდელებს არად ჩააგდებს საცეკვაოდ ჩვეულებრივ გერმანელ გოგონას მიიწვევს, კანავარო კი გერმანული ენის დაწყებით კლასში მივა.

**პაპუნა ჭედია**

# დიეგომ მარადონა დანიშნა



**დიეგო მარადონამ** თქვა, არგენტინის ნაკრებმა გერმანიაში 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატი თუ ვერ მოიგო, ეროვნული გუნდის მწვრთნელად, შეიძლება, მე დამნიშნონო. „ხულიო გრონდონამ (არგენტინის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი) ნაკრებში მუშაობა უკვე რამდენჯერმე მთხოვა. თუ ხოსე პეკერმანმა 2006-ის მუნდიალი მოიგო, ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელად მიხილავთ, ხოლო თუ გერმანიაში თასი ვერ მოვიპოვეთ, შეიძლება, გრონდონამ ძირითადი გუნდის მწვრთნელად მარადონა დაინიშნოს“ — უთხრა მსოფლისო ფეხბურთის ლეგენდამ არგენტინულ „ლა ნასიონს“.

მარადონამ გერმანიაში ნაკრებს წარმატება უსურვა: „2002-ში ჯგუფიდან გავვარდით, თუმცა დარწმუნებული ვარ, ბიჭებმა კორეა — იაპონიის ჩემპიონატი უკვე ისტორიას ჩააბარეს“.

# ბენფიკამ კუმანი მოიძულა



**რონალდ კუმანს** მცირე შანსი აქვს, რომ „ბენფიკას“ მწვრთნელად მომავალ სეზონშიც დარჩეს. ბოლო დროს ჰოლანდიელს ბევრს აკრიტიკებენ არა მხოლოდ „ბარსელონასთან“ წაგებისთვის, არამედ იმიტომ, რომ „ეშტადიუ და ლუჟზე“ თავის პირველ წელს ვერანაირი ტიტული ვერ მოიგო. პირველი ადგილი და თასი „არწივებს“ მოუხელთებელი ჩიტებივით გაუფრინდნენ კლანჭებიდან.

„ბენფიკას“ ვიცე-პრეზიდენტმა ჟოზე ვეიგამ ოთხშაბათს „კამპ ნოუზე“ განაცხადა, კუმანი კონტრაქტით დარჩენილ წელს ბოლომდე მიიყვანსო. თუმცა უფრო სავარაუდოა, რომ ჰოლანდიელს „არწივებს“ დაატოვებინებენ. ათი წელიწადია, „ბენფიკა“ ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში არ გასულა, კუმანმა ეს შეძლო, მაგრამ შინაურ ჩემპიონატში წარუმატებლობით გაბრაზებულმა ფანებმა მიღწევა დაუვიწყეს...

„კამპ ნოუზე“, „ბარსასთან“ საწყენი წაგების შემდეგ ჟურნალისტებმა ჰოლანდიელს სამომავლო კარიერაზე ჰკითხეს. კუმანმა პასუხს თავი აარიდა და მხოლოდ ის თქვა, ახლა მარტო სუპერლიგაზე ვფიქრებთო. პორტუგალიის ჩემპიონატში „ბენფიკას“ კვირას „მარიტიმუსთან“ უწევს შეხვედრა.

მედიის ცნობით, „არწივების“ თავკაცად რონალდ კუმანის ნაცვლად ღლევანდელი მწვრთნელის თანაშემწე ფერნანდ ჩალანა უნდა დანიშნონ. ასევე, „და ლუჟზე“ ხოსე ანტონიო კამაჩოს დაბრუნებაზეც ლაპარაკობენ, თუმცა ესპანურ „ელ მუნდოში“ წერია, კამაჩო „ბენფიკას“ ხელმეორედ არ დათანხმდებაო. „რონალდ კუმანი „ბენფიკას“ სეზონის დასასრულამდე დატოვებს“ — აცხადებს პორტუგალიური „ო ჟოგო“.

**ლადო ხომერიკი**

| XXXIII ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ტოტენჰემი | : | სიტი |
| ჩარლტონი | : | ევერტონი |
| პორტსმუთი | : | ბლექბერნი |
| სანდერლენდი | : | ფულემი |
| უიგანი | : | ბირმინგემი |
| **ხვალ** | | |
| მანჩესტერი | : | არსენალი |
| ჩელსი | : | ვესტ ჰემი |
| ლივერპული | : | ბოლტონი |
| მიდლსბრო | : | ნიუკასლი |
| ასტონ ვილა | : | ვესტ ბრომვიჩი |

## ინგლისი

# თოფ-თამაში მანჩესტერში

**პრემიერლიგას** ინტრიგა ბოლო ტურებში დაუბრუნდა. „მანჩესტერ იუნაიტედმა“ ზედიზედ 8 თამაში მოიგო, ჩინებულ ფორმაშია და შეჩერებას არ აპირებს. „ჩელსისთან“ სხვაობა კი უკვე 7 ქულაა. თანაც ამ კლუბებს ერთმანეთთან სათამაშო აქვთ და ვინ იცის, რა მოხდება. არანაკლებ დაძაბული ბრძოლაა მეოთხე ადგილისთვის, რომლისთვისაც ერთბაშად 4 კლუბი იბრძვის.

სერ ალექს ფერგიუსონის გუნდი „ოლდ ტრეფორდზე“ ძველ მეტოქეს, „არსენალს“ მასპინძლობს და მოსაგებად ემზადება. ბუნებრივია, არაფერს დათმობენ ლონდონელებიც, რომლებიც ჩემპიონთა ლიგაში წარმატებულად კი თამაშობენ, მაგრამ თუ იქ გამარჯვება ვერ შეძლეს და პრემიერლიგაშიც მეოთხე ადგილზე ვერ გავიდნენ, მომავალ სეზონში უეფას თასით მოუწევთ დაკმაყოფილება.

„მეთოფეებთან“ შეხვედრა სეზონში ერთ-ერთი ურთულესია. თუმცა ეს მატჩი აუცილებლად უნდა მოვიგოთ. ჩვენ მაინც მეორე ადგილზე ვართ კონცენტრირებულნი და „ლივერპულს“ დაწევის საშუალება არ უნდა მიეცეთ, მაგრამ თუ ჩემპიონობისთვის ბრძოლის შანსიც გაგვიჩნდა, ეს ბრწყინვალე იქნება“ — თქვა „წითელი ეშმაკების“ მცველმა რიო ფერდინანდმა.

ლონდონური დერბისთვის ემზადებიან „სტემფორდ ბრიჯზე“. „ბარსელონასთან“ წაგებით დათრგუნული და ქულების უპრაგონოდ მკარგველი „ჩელსი“ „ვესტ ჰემზე“ კბილებს ილესავს. ჟოზე მაურინიუსა და ჯო კოულის აზრით, სწორედ ამ მატჩში გამარჯვება იქნება ძალიან მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი. თუმცა „ჩაქუჩებს“, რომელთაც წამყვანი მცველი კრისტიან დეილი აკლიათ, მრისხანე მეტოქის არ ეშინიათ და არც მალავენ, ფრეზე ვითამაშებთ, მაგრამ თუ მოგების შანსი მოგვეცა, გამოვიყენებთო.

მარტინ იოლის „ტოტენჰემი“ ჩემპიონთა ლიგის საგზურთან ძალიან ახლოსაა და „მანჩესტერ სიტისთან“ გამარჯვება ჰაერივით სჭირდება.

„სტიუარტ პირსმა „უაით ჰართ ლეინზე“ გუნდი მოსაგებად ჩამოიყვანა. ასე რომ, მძიმე თამაში გველის, მაგრამ ჩვენი მოტივაცია მათზე არანაკლებია. მით უმეტეს, გასულ ტურში „ნიუკასლთან“ წაგების მერე“ — განაცხადა იოლმა.

სატურნირო თვალსაზრისით, ასევე ძალიან მნიშვნელოვანი მატჩი გაიმართება „ენფილდზე“ — „ლივერპული“ — „ბოლტონი“. პირველი მეორე ადგილისათვის იბრძვის, მეორე კი — მეოთხისათვის, ფრე არც ერთს არ აძლევს ხელს.

**გიორგი ძაძაგაძე**



პირველ წრეში „არსენალი“ და „მანჩესტერი“ უგოლოდ გაიყარნენ

| № | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ჩელსი | ■ | | 2:0 | 2:1 | 1:0 | 4:2 | 5:1 | 1:0 | | 1:1 | | 3:0 | 2:0 | 1:0 | 3:2 | 2:1 | 2:0 | 4:0 | 2:0 | 2:0 |
| 2 | მანჩესტერი | 1:0 | ■ | 1:0 | 1:1 | | 1:2 | 4:1 | 4:0 | 1:0 | | 1:1 | 2:0 | 1:1 | | 4:2 | 1:0 | 3:0 | 3:0 | 3:0 | |
| 3 | ლივერპული | 1:4 | 0:0 | ■ | 1:0 | 1:0 | 1:0 | | 3:0 | 2:0 | 0:0 | 3:1 | 2:0 | 1:0 | 2:0 | 5:1 | | 1:1 | 1:0 | 3:0 | 1:0 |
| 4 | ტოტენჰემი | 0:2 | | 0:0 | ■ | 1:1 | 3:2 | | 2:2 | 1:1 | 3:1 | 2:0 | 2:0 | | 2:0 | 1:0 | 0:0 | 2:0 | 2:1 | 3:1 | 3:2 |
| 5 | არსენალი | 0:2 | 0:0 | 2:1 | | ■ | 3:0 | 1:1 | | 2:3 | 3:0 | 2:0 | 2:0 | 1:0 | 7:0 | 4:1 | 5:0 | 1:0 | | 4:0 | 3:1 |
| 6 | ბლექბერნი | | 4:3 | | 0:0 | 1:0 | ■ | 0:0 | 1:1 | 3:2 | 4:1 | 0:2 | 0:3 | | 3:2 | 2:1 | 2:0 | 2:0 | 2:0 | 2:1 | 2:0 |
| 7 | ბოლტონი | | 1:2 | 2:2 | 1:0 | 2:0 | 0:0 | ■ | 1:1 | 4:1 | | 0:1 | 2:0 | 2:0 | | 2:1 | 1:1 | | 2:0 | 1:0 | 2:0 |
| 8 | უიგანი | 0:1 | 1:2 | 0:1 | 1:2 | 2:3 | 0:3 | 2:1 | ■ | 1:2 | 3:0 | 1:1 | 1:0 | 4:3 | 1:1 | 1:0 | | | 0:1 | | 1:0 |
| 9 | ვესტ ჰემი | 1:3 | 1:2 | | | 0:0 | 3:1 | 1:2 | 0:2 | ■ | 0:0 | 2:2 | 2:4 | | 2:1 | 2:1 | 4:0 | 3:0 | 1:0 | 2:4 | 2:0 |
| 10 | ჩარლტონი | 0:2 | 1:3 | 2:0 | 2:3 | 0:1 | | 0:1 | 1:0 | 2:0 | ■ | | 3:1 | 2:5 | 2:1 | 1:1 | 0:0 | 2:0 | 0:0 | | 2:0 |
| 11 | ევერტონი | 1:1 | 0:2 | 1:3 | | 1:0 | 1:0 | 0:4 | 0:1 | 1:2 | 3:1 | ■ | 1:0 | 1:0 | 1:0 | 3:1 | 4:1 | | | 0:1 | |
| 12 | ნიუკასლი | | 0:2 | 1:3 | 3:1 | 1:0 | 0:1 | 3:1 | | 0:0 | 0:0 | 2:0 | ■ | 1:0 | 2:2 | 1:1 | 1:1 | 1:0 | | 2:0 | 3:2 |
| 13 | სიტი | 0:1 | 3:1 | 0:1 | 0:2 | | 0:0 | 0:1 | 0:1 | 2:1 | 3:2 | 2:0 | 3:0 | ■ | 0:1 | | 3:1 | 4:1 | 0:0 | 2:1 | 2:1 |
| 14 | მიდლსბრო | 3:0 | 4:1 | 0:0 | 3:3 | 2:1 | 0:2 | 4:3 | 2:3 | | 0:3 | | | 0:0 | ■ | 3:2 | 0:4 | 1:0 | 2:2 | 1:1 | 0:2 |
| 15 | ფულემი | 1:0 | 2:3 | 2:0 | 1:0 | 0:4 | 2:1 | 2:1 | | 1:2 | | 1:0 | 1:0 | 2:1 | | ■ | 3:3 | 0:0 | 6:1 | 1:3 | 2:1 |
| 16 | ასტონ ვილა | 1:1 | 0:2 | 0:2 | 1:1 | 0:0 | 1:0 | 2:2 | 0:2 | 1:2 | 1:0 | 4:0 | 1:2 | | 2:3 | 0:0 | ■ | | | 1:0 | |
| 17 | ბირმინგემი | 0:0 | 2:2 | 2:2 | 0:2 | 0:2 | | 1:0 | 2:0 | 1:2 | 0:1 | 0:1 | | 1:2 | 0:3 | 1:0 | 0:1 | ■ | 1:1 | 5:0 | 1:0 |
| 18 | ვესტ ბრომვიჩი | 1:2 | 1:2 | 0:2 | 2:0 | 2:1 | 2:0 | | 1:2 | | 1:2 | 4:0 | 0:3 | 2:0 | 0:2 | 0:0 | 1:2 | 2:3 | ■ | 2:1 | 0:1 |
| 19 | პორტსმუთი | 0:2 | 1:3 | | 0:2 | | | 1:1 | 0:2 | 1:1 | 1:2 | 0:1 | 0:0 | 2:1 | | 1:0 | 1:1 | 1:1 | 1:0 | ■ | |
